



# თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს მთავრობის მინისტრის და კულტურის მინისტრის და კულტურის მინისტრის სახელმწიფო უნივერსიტეტის განცხი \* № 4 (87) 29 ეკონომიკური 2014 წელი

## ქეთევან მაჭავარიანი

**studentTa VII samecniero  
konferencia Teatrisa da kinos  
saxel mi fo universitetSi**

გვ. 2-5



## თამარ ქუთათელაძე

**sandrooba- si RnaRsa da anagaSi**

გვ. 6-8



## ნუცა კობაიძე

**haml eti**

გვ. 9-11

**saqarTvel os SoTa rusTavel is Teatrisa da kinos saxel mi fo universiteti  
acxadebs konkurss**

გვ. 11

## ლამზირა მელაძე

**siyvarul i yvel a-feria**

გვ. 12

## studentTa VII samecniero konferencia Teatrisa da kinos saxel mwi fo universitetSi



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2014 წლის 25 აპრილს, გაიმართა რიგით მე-7 სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც გახსნეს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა – პროფესორმა ნატო გენგიურმა და ფაკულტეტის დეკანმა – პროფესორმა ვიორგიცექიტიძვილმა. კონფერენციას საფუძველი ჩაიყარა 2008 წელს. ამის შემდეგ კონფერენცია ყოველწლიურად ტარდება, სადაც მონაბილუობის საშუალება სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსაც ეძლევათ. სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორია კინოსა და თეატრის სრული პროფესორი ნატო გენგიური, რომელმაც ასევე საფუძველი ჩაუყარა პროფესორ-მასწავლებლთა ყოველწლიურ კონფერენციას.

წლევანდელ კონფერენციაზეც მუშაობდა ხელოვნებათმცოდნეობის, თეატრისა და მუსიკის, კინოსა და მედიის სექციები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ თეატრისა და კინოს პროფესორები: თამარ ბოკუჩავა, თეო ხატიაძეილი, ნატო გენგიური, ეკატერინე კიკნაძე, ირინე აბესაძე, კონფერენციაში მონაბილუობას იღებდნენ, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის გარდა, ა. ქუთათელაძის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, თბილისის კ. სარაჯისმედილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები. მათ ნარმოდგენილი ჰქონდათ თემები, რომლებიც მოიცავდნენ ისტორიულ და თანამედროვე თემატიკას სახელოვნებო კუთხით. თემის პრეზენტაციის შედეგები, მომსენებელსა და დამსწრე აუდიტორიას შორის იმართებოდა დისკუსია და მსჯელობა ნამოჭრილი პრობლემატიკის გარშემო.

ორგანიზატორს და ყოველწლიურ კონფერენციის დამფუძნებელს, პროფესორ ნატო ბენბიშვის, კონფერენციის გარშემო დასმულ კითხვებზე ეპასუხა:

&lt; 2 გვ.

**— რა არის სტუდენტთა კონფერენციის  
მთავარი მიზანი?**

**ნატო გენდიშვილი:** — ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა ყოველწლიური კონფერენცია მიზნად ისახავს სტუდენტების კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას. ეს რეალურად ერთ-ერთი გზაა, რომელიც ეხმარება მათ არა მხოლოდ ცოდნის მიღებაში, არამედ, იმ ჩვევების შეძენაშიც, რომლებიც პროფესიული რეალიზებისთვის აუცილებელია: კვლევის ჩატარების პრაქტიკა იქნება ეს, თუ საჯარო გამოსვლა, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება თუ დისკუსიაში მონაწილეობის, აზრის გამოთქმის და სხვა პრაქტიკული ჩვევების განვითარება.

**— ნებას უკვემე-7 კონფერენცია ჩატარდა.  
სხვა უმაღლესი სასწავლებლების ინტერესი რამდენად იზრდება თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტთა კონფერენციების მიმართ?**

**— კონფერენციის მიმართ ინტერესი ყოველწლიურად იზრდება. მრავალი სტუდენტი ყოველ გაზაფხულზე ელოდება მას. ხშირად მეკითხებიან, როდის ტარდება კონფერენცია, წელსაც ექნებათ თუ არა გამოსვლის საშუალება და მითანხმებენ კონფერენციის თემატიკას... ჩვენი კონფერენცია 2008 წელს დაფუძნდა და მაშინ, პროგრამა ერთ გაეცილ ფურცელზე დაეტია. უკვე მომდევნო წლიდან კონფერენციის პროგრამის მოცულობა გაიზარდა და ბუკლეტის ფორმა მიიღო. ჩვენი უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, კონფერენციების თემატიკა, ძირითადად, ხელოვნებადა ხელოვნებასთან დაკავშირებული საკითხებია, ამიტომ ჩვენ კონფერენციაში სისტემატურად იღებენ მონაწილეობას სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლების**

— სამსატვრო აკადემიის, კონსერვატორიის სტუდენტები. ყოველწლიურად მოხსენებით გამოდიან ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც. მომხსენებლებად გვყავდა ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტორებიც, ილიას უნივერსიტეტისა და სხვა სასწავლებლების ჰუმანიტარულ-სოციალური მიმართულების სტუდენტებიც. ასეთი დიდი ინტერესი ბუნებრივია, რადგან კონფერენცია, ყველა სიკეთესთან ერთად, არის პროფესიული კონტაქტების გაბმის, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების შორის კონტაქტის დამყარების საშუალება.

**— თუ აპირებთ კონფერენციების შემდეგ წლებში გაგრძელება?**

**— საუნივერსიტეტო ცხოვრება წარმოუდგენელია კონფერენციების გარეშე. უნივერსიტეტი ცოცხალი ორგანიზმია, სადაც მუდმივად მიღის სასწავლო-სამეცნიერო მუმაობა. კონფერენცია წარმოადგენს ამ მუშაობის შედეგებს. წელსაც მრავალფეროვანი მოხსენებები მოვისმინეთ. იყო საინფორმაციო ხასიათის მოხსენებები, რომლებიც უკვე არსებული ცოდნის საფუძველზე დაიწერა და იყო ისეთებიც, რომლებიც სტუდენტთა დაკვირვებას, ნაკლებშესწავლილი საკითხის ირგვლივ ჩატარებულ მცირე კვლევას წარმოგვიდგენდნენ. კმაყოფილი ვარ და მახარებს ისიც, რომ კონფერენციებზე სტუდენტთა ბედნიერ სახეებს ვხედავ. მათი სასწავლო პროცესი ხდება საინტერესო, აქვთ საშუალება, საკუთარი წააზრევი და ნამუ-შევარი წარუდგინონ „კოლეგა-სტუდენტებს“, მოისმინონ სხვა სტუდენტებისა და პროფესორების შეფასება, ისინი ახდენენ საკუთარი თავის რეალიზებას. ვფიქრობ, ეს სტუდენტებისთვის არის ძლიერი სტიმული, წახალისება და მოძრაობა უკეთესობისკენ.**



&gt; 4 გვ.

## studentTa VII samecniero konferencia Teatrisa da kinos saxel mwi fo universitetSi

◀ 4 გვ.

დავინტერესდით კონფერენციის მონაბილე და დამსწრე სტუდენტებისა და პროფესორების აზრითაც. მათ ჩვენ კითხვას, თუ როგორ აფასებენ და რა მნიშვნელობას ანიჭებენ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტურ კონფერენციას, შემდეგი პასუხები გავცეს.



**ანი ქლიაშვილი**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი:  
— უკვე მესამედ ვესწრები თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციას. მიმართია, რომ ეს კონფერენცია მომავალი ხელოვნებათმცოდნეებისთვის პირველ დიდ გამოცდილებას წარმოადგენს, როგორც მეცნიერული კვლევის უნარების შეძენისა და შემდეგ მისი გამოყენების თვალსაზრისით, ასევე მოხსენების ადეკვატურად წარმოჩენისა და საპრეზენტაციო უნარის შეძენის მხრივ.

წლევანდელი კონფერენცია გამოიჩინა და მრავალფეროვანი და საინტერესო თემებით, რადგან წარმოდგენილი იყო ხელოვნების სხვადასხვა დარგი: არქიტექტურა, მხატვრობა, წიგნის მხატვრობა და სხვა. სამეცნიერო კონფერენციები, ჩემი აზრით, უნდა გაგრძელდეს და სტუდენტების გარდა, ლექტორებიც აქტიურად

უნდა ჩავერთოთ ამ პროცესებში. **თემა ხატიაშვილი**, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოციირებული პროფესორი: — კონფერენციის მეშვეობით სტუდენტი იწყებს ერთ, კონკრეტულ მასალაზე მუშაობას, რაც მათ ანალიზისა და სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში ეხმარება. ასევე სტუდენტებს კონფერენცია ხელს უწყობს საჯაროდ გამოსვლის პრაქტიკის შეძენაში და საკუთარი აზრების რეპრეზენტირებაში ფართო აუდიტორიის წინაშე.

**ნოღაშ არონიშვილი**, სტუდენტი, სამხატვრო აკადემია: — როდესაც სტუდენტი დაინტერესებულია გარკვეული თემით, იწყებს მასზე მუშაობას და შემდეგ ამ თემის რეალიზაციას მსმენელთან, ეს მნიშვნელოვანია ჩვენი მომავალი პროფესიული განვითარებისთვის. კონფერენციაზე ჩემი თემის პრეზენტირების შემდეგ დაწყებული დისკუსია, სადაც ისმის კითხვები და

&lt; 48.

შენიშვნები, მეხმარება ამ თემის სხვა კუთხით დანახვაში, სად ვიყავი სუბიექტური და შემდეგში დაფიქრებისთვის თემაში არსებულ საკითხებზე.

**სოფიო აკადემიული,** მაგისტრატურის სტუდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: – უკვე მეორედ ვმონანილეობ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტურ კონფერენციაში. ეს კებმარება სწორი და მეცნიერული აზროვნების ჩამოყალიბებაში. კონფერენციის შემდეგ უფრო მიზანსწრაფული ვხდები. კონფერენციაზე ნარმოდგენილ თემებში საკითხები და პრობლემატიკა საინტერესოდ იყო გააზრებული, გამოვარჩევდი მოხსენებას „პეტრე ოცხელი და თანამედროვე ქართული სცენოგრაფია“.

**თათია ბარბაშაძე,** სტუდენტი, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი: – ეს კონფერენცია ჩემთვის პირველი იყო, შესაბამისად დიდი გამოცდილება მივიღე ფართო აუდიტორიასთან გამოსვლის

და დისკუსიაში მონაწილეობისა, რაც მნიშვნელოვანია მომავალი კრიტიკოსისთვის. კონფერენციაზე მუშაობა დამეხმარა განათლების მიღების მხრივ და ჩემი სურვილი იქნება, რომ მსგავსი კონფერენციები, ჩვენს უნივერსიტეტში, წელიწადში ორჯერ ჩატარდეს.

**თამარ ბგვალიანი,** სტუდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: – მე უკვე მეორედ ვმონანილეობ ამ კონფერენციაში, წლევანდელი კონფერენცია, მსგავსად წინა წლებისა, კარგად ორგანიზებული იყო და გამოიჩინა მეცნიერული გარემოთი. იგრძნობა განვითარება მომსხვენებლების პრეზენტაციულობაში. ასევე საინტერესო იყო წლევანდელი ნაშრომები. მომწონს კონფერენციის ფორმატი, – იგი ღიაა სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის. ასევე, მიმართულებებიც, სპეციალობების მხრივ, მრავალფეროვანია. ეს ჩემთვის მისაღებსა და უფრო საინტერესოს ხდის მას.



ნლევანდელისამეცნიერო კონფერენცია ჩემთვისაც პირველი იყო, რამაც მეცნიერული კვლევის საშუალება მომცა. საკუთარ თეორიულ ნაშრომს პირველად ვნერდი. სწორედ ამ კონფერენციის მემკვეთით მივიღე, ჩემი აზრით, გამოცდილება პროფესიული განვითარებისათვის, რაშიც ვგულისხმობ ფართო აუდიტორიასთან ურთიერთობას და კრიტიკულიაზრის მოსმენას. ყოველივე ამის შემდეგ გამიჩნდა სურვილი – კვლავ მივიღო მონაწილეობა სამომავლოდ კონფერენციაში, რაც ერთგვარი საზოგადოებრივი და გვივითარდება პროფესიული მიდგომა კვლევის დროს.

ტექსტი – ქათეგან მაჟაგარიანი  
ფოტოები – როლანდ მათევაზვილი  
ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობის  
II კურსის სტუდენტები

## ‘sandrooba- si RnaRsa da anagaSi

14 აპრილს, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის ინიციატივით, სტუდენტთა და პედაგოგთა

მისი გმირულ-რომანტიკული თეატრის თანამოაზრებისა თუ 30-იანი წლების მდელვარე ეპოქის შემოქმედთა პორტრეტები. მუზეუმში უხვადაა წარმოდგენილი რობერტ



ჯგუფი კახეთში გაემგზავრა, დიდი ქართველი რეჟისორის – სანდრო ახმეტელის დაბადების დღის აღსანიშნავად. პროექტის დირექტორი იყო სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტი თამუნა ძონენიძე.

სიღნალის სახალხო თეატრში სანდრო ახმეტელზე გადაღებული, შემორჩენილი დოკუმენტური კადრებია ჩვენეს. სტუდენტებმა წარმოადგინეს დრამატურგიის ფაკულტეტის II კურსის მაგისტრანტ ლილე შენგელიასა (პედ. ირაკლი სამსონაძე) და სარეჟისორო ფაკულტეტის III კურსის სტუდენტ გიორგი სულთანიშვილის (პედ. ცოტნე ნაკაშიძე) მიერ მომზადებული დადგმა. იგი ემოციურად ასახავდა სანდრო ახმეტელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრეს მოვლენებს. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტები: მარიკა ხუნდაძე (I კურსი, პედ. ანდრო ენუქიძე), ნოდარ იაკობიშვილი (I კურსი, პედ. ანდრო ენუქიძე), გიორგი ოქრუაშვილი (I კურსი, პედ. მაია გაჩეჩილაძე), თაკო სამნიძე (IV კურსი, პედ. სოსო ნემსაძე).

დღის მეორე ნახევარში სტუდენტებმა და პედაგოგებმა მოინახულეს სანდრო ახმეტელის სახლ-მუზეუმი, სადაც გამოფენილია რეჟისორის წინაპრების, ოჯახის წევრებისა და სანდრო ახმეტელის მეგობრების, კოლეგების,

სტურუასა და ალექსანდრე შალუტაშვილის ინიციატივითა და დახმარებით შექმნილი სანდროახმეტელის სახელოვანის პექტაკლების ორიგინალური მაკეტები და ფოტოები. აღსანიშნავია ისიც, რომ სანდრო ახმეტელის მუზეუმში ეზოში 2012 წლიდან განისვენებს სანდროახმეტელის შვილი – ჯიმშერახმეტელი (1917-2012).

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის საოპერატორო ფაკულტეტის სტუდენტებმა თორნიკე სეხნიაშვილმა და გიორგი მარგიშვილმა გადაიღეს სანდრო ახმეტელის ოჯახის ნასახლარის შემორჩენილიერთა დერთი კედელი. გამოითქვა სურვილი, რომ ამ კედელზე დამაგრდეს დიდი ქართველი რეჟისორის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა. გარდა ამისა, სანდრო ახმეტელის ოჯახის ნასახლარზე მდებარე ანაგის საჯარო სკოლას, რომელიც ჯერ კიდევ კომუნისტურ ეპოქაში ატარებდა სანდრო ახმეტელის სახელს და შემდგომ პერიოდში მოეხსნა იგი, კვლავ აღუდგეს დიდი ქართველი რეჟისორის სახელწოდება.

საღამოს მიწურულს, სტუდენტებმა მუზეუმის ეზოში გაშალეს სახელდახელო სუფრა, მოილხინეს, იმხიარულეს, შემდეგ ნარჩენებისაგან თავადვე დაასუფთავეს მიმდებარე ტერიტორია და წარმოაჩინეს უჩვეულოდ მაღალი შინაგანი კულტურა

&lt; 6 გვ.

და ორგანიზატორული ნიჭი. დასასრულს, ახალგაზრდები ერთი წლით დაემშვიდობნენ 1979 წელს დაფუძნებულ, ამჟამად კრიტიკულ მდგომარეობის მყოფ, დიდი ქართველი რეჟისორის ამ ერთადერთ და უაღრესად მოკრძალებულ კერას, რომელიც ახალ რეალობაშიც ჯერ კიდევ უშედეგოდ ითხოვს ყურადღებასა და დახმარებას.

**გიორგი ცერტიშვილი** (საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი):

- 14 აპრილის აღნიშვნა უშუალოდ სტუდენტთა თვითმმართველობის ინიციატივით იქნა ორგანიზებული. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს განზრახული აქვს კახეთში ყოველ წელს აღნიშნოს სანდრო ახმეტელის დღე. ამ თარიღისათვის სტუდენტები წარმოადგენენ მცირე ფორმის დადგმებს. შევეცდებით, გააქტიურდეს ყურადღება ამ დიდი შემოქმედის მშობლიური კუთხისადმი, დამყარდეს მჭიდრო კავშირი სანდრო ახმეტელის სახლ-მუზეუმთან და ხელი შევუწყოთ მის ღირსეულ ფუნქციონირებას.

ქართული თეატრის ისტორიაში სანდრო ახმეტელის სახელი ქართული თეატრის ისტორიაში

ხანასთანაა დაკავშირებული. სწორედ სანდრო ახმეტელმა შეძლო ქართული თეატრის გაყვანა საერთაშორისო არენაზე. მისი წარმოდგენებით აღტაცებაში მოვიდა მრავალი ავტორიტეტული უცხოელი კრიტიკოსი, მაგრამ 30-იან წლებში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო, არაერთი საზღვარგარეთული მიწვევა დარჩა განუხორციელებელი.

სანდრო ახმეტელი თეატრის ისტორიაში ღირსეულად დამკვიდრდა როგორც უალრესად თვითმყოფადი, პრინციპული პიროვნება და ასეთივე ორიგინალური, თამამი რეჟისორი. სწორედ მისი ხისტი ხასიათი იქცა მისივე დრამატული ხვედრის მთავარ ინსპირატორად. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი საქართველოს 1918 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი სანდრო ახმეტელი, რუსთაველის თეატრში ამკვიდრებდა გმირულ-რომანტიკული თეატრის ესთეტიკას. იგი ესწრაფვოდა აღეზარდა თავისუფლებისათვის მებრძოლი მაყურებელი, აქტიური და შეუპოვარი საზოგადოება. სანდრო ახმეტელის მძაფრი სარეპერტუარო პოლიტიკა და ლირებულებები, ხშირად გამოწვევის ხასიათსაც იძენდა. ამ მხრივ საყოველთაოდ ცნობილია სანდრო ახმეტელის მიერ 1933 წელს დადგმული, მისი ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლის - ფ.



&gt; 8 გვ.

## ‘sandrooba~ si RnaRsa da anagaSi

◀ 7 გვ.

შილერის პიესა „„ყაჩალების“ ქვესათაურით „„ყაჩალების წინააღმდეგ“ დასათაურების ფაქტი. ცნობილია ისიც, რომ ერთ-ერთ საშვიდოებრო დემონსტრაციის დღეს, რუსთაველის თეატრის დანიშნული სპექტაკლი რეჟისორმა უეცრად მოხსნა და მის მაგივრად პომპეზურად მოზეიმე დემონსტრანტების თავზე აივნიდან უზარმაზარი აფიშა-სლოგანი „„ყაჩალების წინააღმდეგ“ გადმოფინა. დაუმორჩილებელი რეჟისორისა და დისიდენტის ამ ექსტრავაგანტური „„კალამბურის“ „„წაკითხვა“ კი, ბუნებრივია, შეძლეს გასაბჭოებული საქართველოს წითელი იდეოლოგიის „მამებმა“.

**მურად გაშაპიძე** (სიღნაღის სახალხო თეატრის მმართველი):

— სიღნაღის სახალხო თეატრში თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის წარმომადგენელთა სტუმრობა სანდრო ახმეტელის დაბადების დღის, 14 აპრილის აღსანიშნავად ჩვენთვისაც სიურპრიზი, ღირსშესანიშნავი და ორიგინალური აქცია იყო. ისევე როგორც თავად სანდრო ახმეტელი შემოიჭრა ქარიშხალივით ქართულ თეატრში და გახდა დიდი ეროვნული თეატრის ესთეტიკის ფუძემდებელი, ასეთივე ქარიშხლით შემოიჭრა ჩვენს პატარა თეატრში თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტობაც. მათ გვაჩუქრეს მშვენიერი, ამაღელვებელი სალამო და დაგვაიმედეს რომ ეს ვიზიტი არ იქნება მხოლოდ ერთჯერადი აქცია. იმედიც გვაქვს, აღნიშნული შესვედრა ჰქოვებს განვითრებას, მოიძებნება სახსრები შეკეთდეს სანდრო ახმეტელის სახელობის სახლ-მუზეუმი და მისი სახელობის დღის აღსანიშნავად გაფართოვდება ღონისძიებათა ფორმატიც.

**თამარ გუთათელაძე** (თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ქართული თეატრის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცნიერთანამშრომელი):

— სანდრო ახმეტელის სახელოვან სპექტაკლს ფ. შილერის „„ყაჩალების წინააღმდეგ“ ანუ „ინ ტირანოს“ („ყაჩალები“) თავის ყველაზე ძლიერ თეატრალურ მთაბეჭდილებად მიიჩნევდა რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძეც. იგი ყვებოდა, რომ მასზე გამაოგნებელი გავლენა მოახდინა 50-იანი წლების მიწურულს, სანდრო ახმეტელის რეაბილიტაციის შემდგომ განახლებულმა ამ სპექტაკლმა. ბატონი გიგა ხშირად იხსენებდა — „სპექტაკლის შემდეგ ღვარად მდიდარ ცრემლი, დიდხანს ვიდეექი დარბაზში და მთელი ხმით გავყვიროდი: ხალხო, ეს რა დიდი რეჟისორი გვყოლია და

არ ვიცოდით!.. ამ დროს, ერთმა უფროსმა კოლეგამ შემაჩერა და მითხრა, — გიგა, ხომ ხედავ, რა რეაქცია გაქვს ამ სპექტაკლზე, რომელიც ს. ახმეტელის მიერ დადგმული სპექტაკლის მხოლოდ სუსტი აჩრდილია, ეხლა წარმოიდგინე, რა დაგემართებოდა ამ სპექტაკლის ორიგინალი რომ გენახაო!..“

ქართული თეატრის ისტორიაში სანდრო ახმეტელის მოღვაწეობის პერიოდი (კ. მარჯანიშვილთან ერთად) ისეთივე მასშტაბის შემოქმედებითი ძიებებისა და მიგნებების პიკია, როგორიც რუსული თეატრისათვის ღირსშესანიშნავი და არანაკლებად ტრაგიკული XX საუკუნის 20-30-იანი წლები.

**თამარ გუთათელაძე**,  
ქართული თეატრის სამეცნიერო-კვლევითი  
ცენტრი



## haml eti

როგორი უნდა იყოს ჰამლეტი სცენაზე?

ეს მარადიული კითხვაა, რომელსაც ყველა ეპოქა თავისებურად პასუხობს. უამრავი წიგნი დაიწერა ჰამლეტზე, უამრავი კრიტიკა, უამრავმა მსახიობმა ითამაშა ეს როლი და ყველგან ჰამლეტი იყო თავისი ეპოქის სახე, სადაც საზოგადოება თავის თავს ხედავდა.

როგორ ვითამაშოთ ჰამლეტი დღეს?

ეს არის პოლემიკური ჰამლეტი, რომელსაც მოსკოვის ვახტანგოვის თეატრში თამაშობს გორიუნოვი და დუდიკოვი – ლენინგრადში. ორივე მსახიობი თამაშობს ე. წ. ჰამლეტიზმის წინააღმდეგ, რომელიც არის დაუსარულებელი ბრძოლა „მინდა“ და „შემიძლია“-ს შორის, საქციელსა და აზროვნებას შორის, სიტყვასა და საქმეს შორის.

შექსპირი იკვლევდა ეჭვიანობის ფენომენს „ოტელოში“, სიყვარულს – „რომეო და ჯულიეტაში“, ამპარტავნობას – „მაკბეტში“, სულიერ ძალას – „რიჩარდში“, ხოლო წინააღმდეგობა „მინდა“ და „შემიძლიას“ შორის სწორედ „ჰამლეტში“ ვლინდება. ეს მნიშვნელოვანი და ჭკუის სასწავლებელი შედევრია. ჰამლეტში აღწერილი პრობლემა ხომ მათ თაობებს ახასიათებს და თითქოს კაცობრიობის დამახასიათებელი ნიშანია.

საჭიროა მნიშვნელოვანი პრობლემის გარკვევა. აი გმირი, რომელსაც თაობა თუ ხალხი ავალდებულებს რაღაცა მნიშვნელოვანს, მას კი არ შეუძლია, ან ჯერ დრო არ დამდგარა, ან გარემოებები უშლის ხელს, ან სულაც, რაღაც მტრული ძალა, რომლის გადალახვაც არ შეუძლია. აქ გმირმა შეიძლება სხვადასხვა გზა აირჩიოს. შეიძლება ჩამოუშვას ხელები: „ასე იყო და ამის მერეც ასე იქნება“, – ეს პესიმისტი ჰამლეტია. შეიძლება თქვას – „კი ასე იყო, მაგრამ ამის მერე ასე აღარ იქნება, არ შეიძლება იყოს“ და კვდება იმედით, – ეს უკვე სხვა ჰამლეტია.

შექსპირი სვამს მარადიულ კითხვას: „დავნებდეთ ბედს თუ შევებრძოლოთ მას?“ რომელია უმჯობესი, იცხოვრო მუხლებზე დამდგარმა თუ ფეხზე გამართული მოკვდე? ბოლოს და ბოლოს ხომ სიკვდილი ისედაც გარდუვალია, მაგრამ ერთგან სკეპტიციზმია, მეორეგან – ჭიდილი.

დღეს მაყურებელი იმიტომ არ მიდის „ჰამლეტის“ სანახავად, რომ მას ფსიქოლოგიური პრობლემები აინტერესებს. დღეს ეს აქტუალური არ არის, ეს წინასაუკუნეების ინტერესის სფერო იყო, რომელმაც ჩვენს ეპოქაში თავისი მნიშვნელობა დაკარგა. დღეს ჰამლეტი სიმბოლოა ბრძოლისა – უსამართლობის, არაადამიანობისა და სიცრუის წინააღმდეგ. ვინაიდან მას უყურებს ფაშიზმთან ომგამოვლილი საზოგადოება. სწორედ ეს არის შექსპირის გენიალობა, ის ერთ კონკრეტულ დროს ცხოვრობდა და მისმა შემოქმედებამ გამოძახილი ჰპოვა მთელ კაცობრიობაში დროისა და სივრცის საზღვრებს გარეშე. ჰამლეტმა ჩაიხედა მსოფლიოს სულში და დაინახა, რომ ჰერტრუდა ამ ქვეყნის ქალია, კლავდიუსი – ამ ქვეყნის კაცი, პოლონიუსი მორალია, ხოლო ოფელია – ამ ქვეყნის მსხვერპლი. ჰერტრუდა არ არის „დამნაშავე“, ის უბრალოდ ქალია, ხოლო კლავდიუსი, მასზე შეყვარებული კაცი, რომელიც განიცდის ძმის მკვლელობას. მაშ ვინ არიან ისინი, ბოროტმოქმედები თუ ჩვეულებრივი ადამიანები? ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს მსახიობმაც ჰამლეტთან მიმართებაში, სანამ იტყვის: „ყოფნა-არყოფნა, საკითხავი აი ეს არის“.

ჰამლეტში ჩვენ ვხედავთ კაცობრიობის სახეს მანამდეც და მას მერეც. ადამიანის მისწრაფება იყო იდეალური და სავსე წინააღმდეგობებით. ჰამლეტი ამბობს: „როგორი სამაგალითოა ადამიანი! როგორი კეთილშობილი ცნობიერებაა! როგორი შეუბლალავი შესაძლებლობები აქვს! როგორი მნიშვნელოვანი და ბრწყინვალეა წარმოსახვასა და მოძრაობაში! საქმეში ანგელოზის მსგავსია, შეგნებაში – ღმერთის! სამყაროს ფერია, ყველა ცოკხალის გვირგვინი“. ჰამლეტი ამას ამბობს აღტაცებითა და წუხილით იმის გამო, რომ ეს მხოლოდ იდეალია, პოტენციაა, რომელიც მხოლოდ დევს ადამიანში. აღტაცებით იმიტომ, რომ ეს იდეალი რეალურად არსებობს. ჰამლეტი არის ამ მარადიული ოცნების გამომხატველი, ამიტომ თვითონაც მარადიული გახდა. ჰამლეტი გრძნობს

## haml eti

◀ 9 გვ.



ისტორიის მსვლელობას, რომელსაც კულმინაციისთვის არ მიუღწევია. მასთან ძაფებითაა დაკავშირებული მსოფლიო ლიტერატურის უამრავი გმირი. ჰამლეტს შეუძლია მოქმედება, მაგრამ თავს იკავებს. ის არ აპირებს კლავდიუსის მოკვლას, ჰერცოგინიას დასჯას, ის არ ჩეარობს „აღადგინოს დროთა კავშირი“. ის ფიქრობს, ცდილობს, რაღაც შეცვალოს, მაგრამ უძლურია ბედისწერის წინაშე. სწორედ ეს პაუზა, ეს ფიქრია, რომელმაც უნდა გამიფროს დროის მარადიულობა. ეს ირონიის „ირონიზებაა“, რომლის ფინალშიც კვდება ჰერცოგი, ასევე კლავდიუსი, პოლონიუსი და ბოლოს თვით ჰამლეტიც, რომელიც მათ სიკვდილშია

დამნაშავე. ჰამლეტის ხედვა, ეს კაცობრიობის ხედვაა მომავლისა, რომელსაც ჩვენ ვქმნით. აი რუსეთში ჩამოვიდა ინგლისის დასი – შექსპირი, „ჰამლეტი“. მაყურებელი ინტერესით ელის ფარდის გახსნას. აინტერესებთ შექსპირის სამშობლოში როგორ ესმით, როგორ აღიქვამენ ჰამლეტს. ხომ შეიძლება ეს ძალიან შინაური და ცოტა მოსაწყენიც იყოს! პიტერ ბრუკის თეატრმა წარუმლელი შთაბეჭდილება დატოვა! მან დასაწყისშივე თქვა უარი შექსპირის წინაშე ლირიკულ აღტაცებაზე, როდესაც უკვდავ ფრაზებს წარმოსთქვამენ არა იმიტომ რომ ისინი გენიალურია, არამედ იმიტომ, რომ საქვეყნოდ ცნობილია. რეუისორი გაურბის ყოფიერ ტრივიალობას, ოჯახურ-ოთახურ ინტიმს. აქცენტები გადატანილია ძირითადზე, უკვდავ მონოლოგებზე, როგორიცაა „ყოფნა-არყოფნა“. არ ეძებენ ბალანსს უკიდურესობებს შორის, არ არის მოთხოვნა „ოქროს შუალედის“ პოვნისა. პიტერ ბრუკის პიესაში წინა პლანზეა ყველაფრის ორგანული სინთეზი, და სწორედ აქ არის რეალური გენიალობა. მას არ გადაჰყავს ჰამლეტი ისტორიაში, ის 300 წლის წინ კი არ იყო, არამედ დღეს, ახლა. განა ისტორიები არ მეორდება? განა ჰამლეტი ასეთი ახლობელი არ არის თითოეული ჩვენგანისთვის, და თუ მან ვერ მოახერხა თავისი მისიის შესრულება, მოდი, ვცადოთ ჩვენ მისი საქმის გაგრძელება. ეს ხომ გენიალურია.

ბრუკი ისტორიას აშკარა პატივისცემით ეპყრობა, მაგრამ ყოველგვარი ზედმეტობისა და გაფეტიშების გარეშე. სცენაზე გმირები იქცევიან ზედმეტობის გარეშე, შეიმჩნევა ჩვეულებრივი ყოფითი ადამიანური ურთიერთობები, ჩაცმულობაც ყოველდღიურია, მხოლოდ

&lt; 10 გვ

განსაკუთრებულ შემთხვევაში იცმევენ განსაკუთრებულად. მეფე აღტაცებულია იმით, რომ მეფეა და სურს სხვებიც აღტაცებულნი იყვნენ ამით. მოკლედ, ჩვეულებრივი ადამიანები არიან. თვით მოხუცი მეფე, ჰამლეტის მამის სული, სცენაზე გამოჩნდება ძველრაინდული ჩაცმულობით, მაგრამ მამლის ყივილისთანავე მორცხვად ააჩქარებს წასვლას – წმინდა ადამიანური ნიუანსი.

შვილთან ლაპარაკის დროს კი არ მოძღვრავს – ასე და ასეო, როგორც მოჩვენებას ეკადრება, არამედ ადამიანურად ესაუბრება. ენერგიულად ცდილობს შვილის დარწმუნებას და ამ სცენის შემდეგ, როდესაც ჰერტრუდას საძინებელ ოთახში სახლის ხალათით

გამოცხადდება, ამას თითქოს მოელოდა კიდეც მაყურებელი.

სპეციაკლშიდიალოგებიმიდის სწრაფად, იმდენად სწრაფად, რომ ინგლისურის კარგად მცოდნებსაც უჭირთ მოსმენა, სამაგიეროდ, მონოლოგებია ნელი ტექსტით, გარკვევით. სულ რომ არ იცოდე ენა, თუ შექსპირი გაქვს წაკითხული, მიხვდები, რასაც ამბობენ, ესეც ორგანული სინთეზის ძიებაა.

როგორია თვითონ ჰამლეტი?

ის ერთადერთი პიროვნებაა, რომელსაც მიმართავს არა მამამისი, ან დედა, არა ოფელია ან ჰერცოგი, არამედ მაყურებელი. ჰატივისცემას იმსახურებს მისი შინაგანი წონასწორობა, მისი ლირსება, რომელსაც არასდროს კარგავს.

**წერა პობაიძე**  
თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის  
სტუდენტი

## saqarTvel os SoTa rusTavel is Teatrisa da kinos saxel mwi fo universiteti acxadebs konkurss Semdegi akademiuri Tanamdebobebis dasakavebl ad:

**ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი:**

### 1. ხელოვნების მენეჯმენტი:

- ა) პროფესორის ერთი (1) ვაკანტური ადგილი;
- ბ) ასისტენტ-პროფესორის ერთი (1) ვაკანტური ადგილი;

### 2. მასობრივი კომუნიკაცია (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა):

- ა) ასისტენტ-პროფესორის ერთი (1) ვაკანტური ადგილი;

კონკურსი ცხადდება 2014 წლის 2 აპრილიდან.

კანდიდატების რეგისტრაცია (საბუთების მიღება) დაიწყება 2014 წლის 8 მაისს და გაგრძელდება 2014 წლის 30 მაისის ჩათვლით.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება საბუთების მიღების დასრულებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

### საკონტაქტო ინფორმაცია

მის: რუსთაველის გამზირი 19, 0108 თბილისი, საქართველო.

ტელ: + 995 32 2999-411

ფაქსი: + 995 32 2990-579

დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6.

\*მიმაგრებული ფაილები: დანართი 1, დანართი 2. იხ: [www.tafu.edu.ge](http://www.tafu.edu.ge)

# სიყვარულის ცეკვა

## siyvarul i yvel a-feria

წამი წუთს, საათი დღეს, კვირა თვეს, წელი წელს მისდევდა. მხოლოდ შენ ხარ გაჩ-ერებული.

დუმხარ.

შენი უთქმელობით მხოლოდ ერთ ფერს ვხედავ – ნაცრისფერს. მზეც ნაცრისფერია, გაზაფხულიც. თოვლიც. ადამიანებიც. ყველაფერი.

მთელი ქალაქი შემოვიარე ფერადი საღებავების ძიებაში, მაგრამ მხოლოდ ერთი ფერი იყიდება – ნაცრისფერი.

წუთუ ყველა დუმს?!

ეჭვს ხელჩაკიდებული წყვილი მიქარვებს, მაგრამ ნაცრისფერები რატომ აცვიათ?

თუ კარგად მახსოვს, უფრო მუქი ფერი იყო მოდაში, მაგრამ როგორია ეს მუქი ფერი?

აი ისეთი... მმმმ... მმმ... ვერ ვიხსენებ!

მეგობრები მიხსნიან ფერების სახელებს, მაგრამ მაინც ნაცრისფერი მესმის. წუთუ ყურიც მხოლოდ ამ ფერს აღიქვამს?

უამრავ ნივთს და ფანქარს მაჩვენებენ, მაგრამ ყველა ერთი ფერისაა.

მგონი, გავგიჟდი! ფერები მინდა!!!!!!!

- მივდივარ!
- სად? – მეკითხება მეგობარი.
- იქ სადაც, მხოლოდ ნაცრისფერია.
- სად?
- ზღვაზე.
- ზღვა ხომ \*\*\*\*\*?
- ჰო, ზღვაც ნაცრისფერია და ქვებიც.
- ქვები კი, მაგრამ ზღვა \*\*\*\*\*.
- რატომ მისწორებ? მეც მაგას არ ვამბობ?
- კარგი! კარგი! იქ რა უნდა ქნა?
- ჩემ ფერთან მივდივარ და მეკითხები კიდეც?
- ჩხუბის ხასიათზე შენ ხარ თუ მე?
- წავედი რა.
- მიდი, მიდი.

ნაცრისფერი მზე ნაცრისფერ ზღვაში ჩადიოდა. ქვიშას მუჭით ხარბად დავეწაფე და ჰაერში ავყარე. ხმაურით დავდიოდი. ასე თამაშ-კისკისით დავივიწყე ცოტა ხნით სხვა ფერები. უცებ ვიღაცამ დამიძახა. მივიხედე. თვალებიდან ბურუსი გადამეყარა და დავინახე, რომ წითელი კედი, ამავე შეფერილობის კუბოკრული პერანგი და შავი შარვალი ეცვა.

**ლამზირა მელამე  
სტუდენტი**